# ო ქ მ ი N11

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 23 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

**დღის წესრიგი:**

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის" ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდის, სატიტულო ფურცლისა და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N50 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლის ბეჭდისა და სატიტულო ფურცლების და გამგეობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N54

განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

11. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების კენჭისყრამდე სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-4 მე-5 და მე-6 საკითხების პირველ, მე-2 და მე-3 საკითხებად გადმოტანის თაობაზე, გამომდინარე იქიდან რომ ითხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ (გ. სიჭინავა), რათა ის გარკვეული დროის შემდგომ ვერ დაესწრებოდა საკრებულოს სხდომას ოჯახური პირობების გამო.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, გ. ხურცილავა, რ. სერგია)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს კორექტირებული სახით

***დღის წესრიგის კორექტირებული ვარიანტი***

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1

განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდის, სატიტულო ფურცლისა და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N50 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლის ბეჭდისა და სატიტულო ფურცლების და გამგეობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N54 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

11. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა წერილები ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული შენობა-ნაგებობის ნაწილის სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე, შემდგომ მისი სსიპ - პროფესიული კოლეჯისთვის „ფაზისი“ უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემის მიზნით. 2013 წელს განათლების სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ კომპლექსურად შეისწავლა ქვეყნის მასშტაბით ახალი პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროებები და მოამზადა შესაბამისი რეკომენდაციები 26 ახალი კოლეჯის დაფუძნების შესახებ, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტშიც, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიერ მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კერძო სექტორის აქტიურობისა და დასაქმების შესაძლებლობების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა - სსიპ პროფესიული კოლეჯის „ფაზისი“ ინიციატივა კოლეჯის გეოგრაფიული არეალის გაფართოების შესახებ, კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, რაც დადებითად იქნა შეფასებული სამინისტროს მიერ. აღნიშნული საკითხი შესწავლილ იქნა გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ და საჭიროდ იქნა მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება.

მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: თ. გულუა -** გამომსვლელის განცხადებით სასურველი იქნებოდა სსიპ პროფესიული კოლეჯის „ფაზისი" ხემძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი ყოფილიყო პროექტი, სამომავლო გეგმების განხორციელების შესახებ, ასევე უცნობია თუ რა ბედი ეწევა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრში დასაქმებულ ადამიანებს, პედაგოგებს. ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა"-ს არასწორად მიაჩნია ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაცია.

**ე. ჯობავა -** განმარტა, რომ სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის" ბაზაზე შექმნილ ხობის ფილიალში მომზადდება მაღალკვალიფიციური და სერთიფიცირებული კადრები, რომლებსაც მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე გაუადვილდებათ დასაქმება სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში.

**მ. ქარდავა -** განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ხემძღვანელობამ ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ პროფესიული სწავლების ცენტრი უფრო ადრე გადასულიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაგრამ დიდი ძალისხმევისა მაინც ვერ მოხერხდა, ამჟამად ეძლევათ ამის საშუალება რომელიც მართლაც მისასალმებელია.

**ზ. ბუკია, -** მისი განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრში არსებული ზოგიერთი ჯგუფები გადანაწილდებიან მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა ა(ა)იპი-ებში.

**მ. ლაგვილავა, მ. ქარდავა -** გამომსვლელები დაინტერესდნენ თუ ვის დაქვემდებარებაში გადავიდოდა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ბალანსზე არსებული დამატებითი ქონება.

**მ. რუხაძე -** გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შემდგომ, ქონება უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს, მეორე ეტაპზე კი აღნიშნული ქონება სახელმწიფოსგან გადაეცემა სსიპ პროფესიულ კოლეჯს „ფაზისი"სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით.

**ნ. იოსავა** (ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის დიორექტორის მოვალეობის შემსრულებელი) - გამომსვლელი მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში პროფესიული სასწავლების გადასვლას, მაგრამ მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა არა სსიპ პროფესიული კოლეჯის „ფაზისი" ბაზაზე შექმნილიყო პროფესიული სასწავლებელი, არამედ დაფუძნებულიყო ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული კოლეჯის სახით, რომლის დაფუძნებასაც წლებია ცდილობს პროფესიული სწავლების ხემძღვანელობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თუმცა, სამწუხაროდ რისი განხორციელება დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის (შ. სირაძე) სხდომაზე არ ყოფნის გამო დასკვნას წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი როსტევან გვარამია და სთხოვა მას, რომ წარმოედგინა კომისიის დასკვნა

**რ. გვარამია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 1** (თ. გულუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, შ. ჭილაია, გ. ხურცილავა, რ. სერგია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულება N43 ოქმს თან ერთვის)**

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის

**მოისმინეს: მ. რუხაძე** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განაცხადა, რომ მიესალმება სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის" ბაზაზე პროფესიული სასწავლებლის შექმნას, სადაც მომზადდება მაღალკვალიფიციური კადრები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**გ. სიჭინავა -** გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ცვლილების თანახმად ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამორთმევა, რადგან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე გამგეობის მიერ განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, (ს/კ 45.07.25.009) მდებარე ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ტერიტორიაზე, გაყოფა სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული მიწა სახელმწიფოს მიერ შემდგომ სარგებლობის უფლებით გადაეცემა სსიპ პროფესიული კოლეჯს „ფაზისი". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 2** (თ. გულუა, რ. სერგია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N44 ოქმს თან ერთვის)**

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ)

**მოისმინეს:** მ. რუხაძე – მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 2 (თ. გულუა, რ. სერგია)**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N45 ოქმს თან ერთვის)**

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: დ.ჭოჭუა** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პროექტში თანდართულ განმარტებით ბარათში ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია, რომ 0,8 ათასი ლარი მიმართულია ხობი-ქუთაისის მარშუტით ექსკურსიის ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის, გამომსვლელი დაინტერესდა ასეთი რა ტრანსპორტით ხორციელდებოდა გადაადგილება ხობი-ქუთაისის მიმართულებით ერთი გზა, რომ 800 ლარი იყო საჭირო მის დასაფინანსებლად.

**რ. შულაია** (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი) - გამომსვლელმა განმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით იმერეთის რეგიონი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, გამომდინარე აქედან ექსკურსია მოიცავდა მთლიანად იმერეთის რეგიონს.

**თ. გულუა** - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რატომ მცირდებოდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებში 10,0 ათასი ლარით პროგრამის „ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება", როდესაც პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის, საჭოჭუოს უბნის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ახლაც ელოდება მათთვის განკუთვნილ დახმარებას

**შ. კანკია** (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი) - გამომსვლელმა განმარტა, რომ ამჯერად ეს თანხა მიიმართება პროგრამის „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა" ქვეპროგრამის „ავადმყოფთა სოციალური დახმარება", რომელიც ითვალისწინებს საოპერაციო თანხებს, ხოლო რაც შეეხება სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, უახლოეს მომავალში განხორციელდება მათი დახმარება

**ტ. ალექსანდრია** - დაინტერესდა გამგეობის თანამშრომლებზე პრემიები ვისზე გაიცა და რა კრიტერიუმით იქნა შერჩეული თანამშრომლები?

**დ. ჭოჭუა** (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსი უფროსი) - განმარტა, რომ პრემიები გაიცა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, ეკონომიკური განვითარების სამსახურისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების თანამშრომლებზე, გამგებლის გადაწყვეტილებით მათი დატვირთვის შესაბამისად, სულ 12 მოსამსახურეზე

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

**ტ. ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები, კერძოდ: გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 765,0 ათასი (შვიდას სამოცდახუთი ათასი) ლარით; შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 765,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 60,0 ათასი ლარით, შემცირდა ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნება. გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 34,1 ათასი (ოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 34,1 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 06 00) პროგრამის ,,ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება" (პროგრამული კოდი 06 05) ,,სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი" ასიგნებაზე (2015 წლის სტიქიით დაზარალებულთათვის სამშენებლო მასალების შეძენა მიმდინარე რემონტისათვის). გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 900,0 (ცხრაასი ათასი) ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 900,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებაზე, აქედან: 138,6 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" (პროგრამული კოდი 03 01 02) ასიგნებაზე, 761,4 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია" ასიგნებაზე. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის

2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 38.7 ათასი ლარით, შემცირდა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება. გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 207,0 ათასი ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 207,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე და განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: 375,9 ათასი ლარით გადიდდა პროგრამის ,,საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)“ ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნება. ბიუჯეტში ასევე ხდება ასახვა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებების შესაბამისად. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 10239,1 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 3** (თ. გულუა, რ. სერგია, ი. ნადარაია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)**

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: რ. გვარამია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი)

**მოისმინეს:** რ. გვარამია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საკრებულოს რეგლამენტში ხორციელდება ცვლილებები, კერძოდ ცვლილებებით განისაზღვრა, რომ საკრებულოს კომპეტენციას არ წარმოადგენს შესყიდვების გეგმის დამტკიცება, ისევე, როგორც საკრებულოს აპარატის და გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება, ეს უფლებამოსილება შესაბამისად მიენიჭა საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს. ცვლილება შევიდა ასევე სამართლებრივი აქტების პეტიციით წარდგენისა და საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესში, ასევე განისაზღვრა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების ოქმების გამოქვეყნების ვადები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N27 ოქმს თან ერთვის)**

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრს (რ. გვარამია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**რ. გვარამია -** გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ და დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 და მე-9 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში" ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში იგეგმება საქმისწარმოების პროცესისთვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა, რომლის საფუძველზეც ელექტრონული დოკუმენტბრუნვა განხორციელდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ავტომატიზებული პროგრამის „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა" და ავტომატიზებული ელექტრონული პროგრამა „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა" მეშვეობით. ამ პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება გამგეობის დებულებაში. დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების საფუძველზე, ასევე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლის ბეჭდებისა და სატიტულო ფურცლების და გამგეობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N54 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე", ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით საკრებულო აღარ არის უფლებამოსილი ორგანო შესყიდვების გეგმის დამტკიცებისთვის, ხოლო გამგეობაში გამოყენებული საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმები არ შეესაბამება ელექტრონული დოკუმენტებისთვის ავტომატიზებული პროგრამით მომზადებულ ფორმებს. ორივე შემთხვევაში გამოიცემა გამგებლის შესაბამისი სამართლებრივი აქტები დადგენილებით ასევე განსაზღვრულია დადგენილებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აუცილებელი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მომზადებისა და დამტკიცების ვალდებულება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი

პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N28 ოქმს თან ერთვის)**

7. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, ვ. კუკავა)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N46 ოქმს თან ერთვის)**

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდის, სატიტულო ფურცლისა და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N50 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: რ. გვარამია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი)

**მოისმინეს:** რ. გვარამია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდის, სატიტულო ფურცლისა და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის N50 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოქტომბრისთვის დაგეგმილია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებულ პროგრამაზე „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ გადასვლა, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს როგორც სამართლებრივი აქტების, ასევე სატიტულო ფურცლების შაბლონების არსებობას და რომლებიც უკვე მომზადდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და რამაც გამოიწვია საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, ბ. ქირია, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, ვ. კუკავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულება N47 ოქმს თან ერთვის)**

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლის ბეჭდისა და სატიტულო ფურცლების და გამგეობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N54 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლის ბეჭდისა და სატიტულო ფურცლების და გამგეობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ბლანკების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N54 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, გ. ხურცილავა, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, ვ. კუკავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულება N48 ოქმს თან ერთვის)**

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაღმა საჯიჯაოს სტრუქტურულ ერთეულში 4 აღსაზრდელი და ამდენივე თანამშრომელია, რაც თავისთავად გაუმართლებელია და მიაჩნია, რომ გაერთიანების ხელმძღვანელის მოთხოვნა გაღმა საჯიჯაოს ბაგა-ბაღის საჯიჯაოს ბაგა-ბაღზე მიერთების თაობაზე მიზანშეწონილია, მითუმეტეს, როცა უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტირება.

მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**დ. გაბუნია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს თან ახლავს დოკუმენტაცია, სადაც განმარტებულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი გამგეობაში შევიდა წინადადებით ხობის მუნიციპალიტეტის გაღმა საჯიჯაოს და საჯიჯაოს საბავშვო ბაღების ოპტიმიზაციის თაობაზე. წერილში აღნიშნულია, რომ არსებული მდგომარეობით, გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღში 2015-2016 სასწავლო წლისთვის ჩარიცხულია 4 აღსაზრდელი. ბავშვთა მცირე რიცხოვნება ხელს უშლის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის ეფექტურ განხორციელებას (თანაფარდობა ჩარიცხულ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა რაოდენობას შორის 1:1-ია), ამასთან, საბავშვო ბაღის შენობის მდგომარეობაც არადამაკმაყოფილებელია. საბავშვო ბაღში არსებული პირობების გათვალისწინებით რთულია მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება. საჯიჯაოს საბავშვო ბაღში 42 აღსაზრდელია ჩარიცხული, ხოლო ბაღს გარეთ დარჩენილია შესაბამისი ასაკის მქონე 17 აღსაზრდელი. მშობელთა მოთხოვნის გათვალისწინებით, გაღმა საჯიჯაოს ჯგუფის ხარჯზე დამატებით შესაძლებელია ახალი ჯგუფის გახსნა და გაღმა საჯიჯაოდან აღსაზრდელთა გადაადგილებისთვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა. საკითხი ასევე განხილულ იქნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი წინადადება და შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის საფუძველზეც ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება მცირდება ერთი სტრუქტურული ერთეულით. გამომსვლელის

განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: თ. გულუა** - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა ბედი ეწეოდა გაღმა საჯიჯაოში სამსახურის გარეშე დარჩენილ თანამშრომლებს?

**დ. გაბუნია** - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღის ოპტიმაციზაციის შედეგად უმუშევრად დარჩენილი ზოგიერთი თანამშრომლები სავარაუდოდ გადმოყვანილი იქნებოდნენ საჯიჯაოს საბავშვო ბაღში

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, ვ. კუკავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულება N49 ოქმს თან ერთვის)**

11. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უფრო დეტალურად უნდა იყოს განმარტებული თუ ვის და რა საფუძვლით ეზრდება საწვავის ლიმიტი გამგეობის სამსახურებში. იქვე გაახმოვანა ბიუროს წევრების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ ეტაპზე ეთანხმებიან საწვავის ლიმიტის გაზრდას, თუმცა იტოვებენ უფლებას შემდგომში საჭიროების შესაბამისად მოახდინონ საწვავის ლიმიტის კორექტირება (შემცირება). გამომსვლელმა მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა** - გამომსვლელის განცხადებით, დროა მოხდეს გამგეობის სამსახურების ანგარიშების მოსმენები, რის შემდგომაც გაირკვევა თუ რა დატვირთვით უწევთ გადაადგილება და რა რაოდენობით სჭირდებათ საწვავი

**ზ. ბუკია** - განმარტა, რომ გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური ფუნქციონირებს 2014 წლის 1 აგვისტოდან, რომლისთვისაც საწვავის ლიმიტი არ იყო განსაზღვრული, მათ უწევთ სხვადასხვა სოფლებში მიწის პრივატიზებისა და აუქციონზე გასატან სხვადასხვა სახის ქონებაზე უწევთ სოფლებში გასვლა და სხვადასხვა მიმდინარე საკითხების შესწავლისთვის სჭირდებათ საწვავი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ტ. ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით 2016 წლისთვის გათვალისწინებულია გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურისთვის საწვავის ლიმიტი თვეში 150 ლიტრის ოდენობით, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურისთვის არსებულ ლიმიტი იზრდება 50 ლიტრით, ანუ განისაზღვრება 150 ლიტრით. აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა იმ სამსახურების მოთხოვნები საწვავის საჭიროების შესახებ, რომელთაც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას უწევთ ტრანსპორტით გადაადგილება, მათ საწვავის ლიმიტი განესაზღვრა თვეში 50 ლიტრის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, შ. ჭილაია, ფ. შონია, კ. ლატარია, ვ. კუკავა)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N50 ოქმს თან ერთვის)**

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა გამგეობის მხრიდან საკრებულოს სხდომაზე განსახილველი პროექტების დროულად მოწოდებისა და

სრულყოფილი პროექტების წარმოდგენის თაობაზე და სთხოვა გამგეობის შესაბამის სამსახურებს ეს შენიშვნები მომავალში იყოს გათვალისწინებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯოზავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. კახა მიქაბერიძე
7. თენგიზ აბაკელია
8. თემურ გულუა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. როსტევან გვარამია
11. ფრიდონ შონია
12. შადიმან ჭილაია
13. ირაკლი ნადარაია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. ვასილ კუკავა
17. ჯემალ ნადარაია
18. კახა ლატარია
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. როლანდ სერგია
22. ბექან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ნადარაია